პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 აგვისტო, შაბათი, 1986 წ.
№ 159 (9320) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი

**ჩოგბურთი (გუნდური მესამე ადგილი)**

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები: ლეილა მესხი, ირინე მალაციძე, ირინე გერაძე, ეკა თოხაძე, ეკა ბოკუჩავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე, ირაკლი მეტრეველი, ვიქტორ ხურდა, დავით კაჭარავა, დავით კვარაცხელია.

# ჭაში და ოვაცია... დამარცხებულებს

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი დავით კაკაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**ჩოგბურთელთა** სასპარტაკიადო ტურნირი მალე დამთავრდება. უკვე გამოვლინდნენ უმაღლესი ტიტულის მაძიებელი წყვილები და ერთეულები. ცოტაც და ყველა თანრიგში ცნობილი გახდებიან სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონები, გამოვლინდება გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კოლექტივიც. ერთი სიტყვით, საჩოგბურთო მარათონი ფინიშის სწორზე გავიდა.

მანამდე კი, ასეთი მძაფრი ტურნირისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ისეთი დრამატული შემთხვევა მოხდა, რამაც ყველა სპეციალისტი გააკვირვა და აალაპარაკა.

... 13 აგვისტოს, საღამოს, კორტებზე სათამაშოდ გამოვიდნენ შერეული წყვილები: მესხი — გაბრიჩიძე და ბლუმბერგა — ძელდე (ლატვია). ეს იყო ერთ-ერთი მეოთხედფინალური შეხვედრა. მანამდე კი მალაციძე — ხურდას წყვილი მოსკოველთა (ბიკოვა — ოლხოვსკი) ძლიერ დუეტთან დამარცხდა — 3:6, 6:1, 2:6, მაგრამ ეს წაგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაგეგმილი იყო.

მესხმა და გაბრიჩიძემ პირველი სეტი ძალზე ადვილად მოიგეს — 6:0. მერე წვიმა წამოვიდა და მოედანი, ცხადია, დასველდა. მეორე სეტში, როცა ანგარიში 6:6 გახდა, წესის თანახმად, გადამწყვეტი გეიმი დაინიშნა. აი, ამ დროს მესხი დაეცა და საკმაოდ მძიმედ დაშავდა. თამაში შეწყდა. ექიმებმა დაასკვნეს, სპორტსმენი ბრძოლის გაგრძელებას ვერ შეძლებსო...

მაგრამ ამ პარტიის წაგება ჩვენს ჩოგბურთელებს გუნდურ ჩათვლაში უკან დახევდა. ეს კარგად იცოდა ყველამ, იცოდა მესხმაც და მისმა პარტნიორმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ. ერთმანეთში ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ მესხი და გაბრიჩიძე ბრძოლის გაგრძელებაზე დათანხმდნენ. მესხი, ფაქტიურად, მხოლოდ მოედანზე უნდა მდგარიყო, მაგრამ დაშავებული სპორტსმენისთვის ესეც ძნელი იყო. მეორე სეტი, ცხადია, ლატვიელებმა მოიგეს 7:6.

მერე კი მართლაც სასწაული მოხდა. მესამე გადამწყვეტ სეტში ლატვიელები ყველა ბურთს მესხის მხარეს გზავნიდნენ (ცხადია, გამარჯვება სურდათ), მაგრამ ბურთს, როგორც წესი, გაბრიჩიძე ხვდებოდა, რომელიც თავად გადადიოდა შეტევაზე და ქულას ქულაზე იგებდა.

ეს ჭეშმარიტად გმირობა იყო — გმირობა მესხისა, რომელიც აუტანელი ტკივილის მიუხედავად მაინც იდგა მოედანზე და გმირობა გაბრიჩიძისა, რომელიც პრინციპულ ბრძოლაში ორ მეტოქეს ფაქტიურად მარტო უმკლავდებოდა. როგორც უკვე ვთქვით, მოხდა სასწაული. ქართველმა ჩოგბურთელებმა მოიგეს მესამე სეტი (7:5) და მასთან ერთად შეხვედრაც — 2:1.

ამ გამარჯვებამ საქართველოს ჩოგბურთელები სასპარტაკიადო შეჯიბრების დამთავრებამდე III გუნდურ ადგილზე გაიყვანა. აი, რას ნიშნავს სპორტში პასუხისმგებლობის გრძნობა და მტკიცე ნებისყოფა. მაყურებლებმა გამარჯვებული წყვილი მოედნიდან მქუხარე ტაშით გააცილეს.

მესხი მეორე დღესაც გამოვიდა „სათამაშოდ", ამჯერად მალაციძესთან ერთად (ტურნირი, იმის გამო, რომ წვიმდა, დარბაზში გადაიტანეს), მაგრამ მხოლოდ თვალს ადევნებდა მეგობრის ბრძოლას. მოსკოველთა წყვილმა (სალნიკოვა — ლიფანოვა) ეს ნახევარფინალური შეხვედრა ადვილად მოიგო — 6:2, 6:1.

ლეილა მესხს კიდევ ორი ნახევარფინალური შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა (ერთეულებში — სავჩენკოსთან და შერეულთა წყვილებში გაბრიჩიძესთან ერთად), მაგრამ შეჯიბრების გაგრძელება ველარ შესძლო და სამივე თანრიგში (წყვილებში, შერეულ წყვილებში და ერთეულებში) IV ადგილს დასჯერდა.

საქართველოს ჩოგბურთელთა ორი წყვილი V-VIII ადგილებისათვის ბრძოლას განაგრძობს. გაბრიჩიძემ და კაჭარავამ უკრაინელებს კროჩკოსა და ჩერნიცკის აჯობეს 7:6, 7:5, ხოლო მალაციძე — ხურდის შერეულმა წყვილმა ესტონელთა დუეტი (კინდი — ვისანდი) დაამარცხა — 6:2, 5:7, 6:4.

ბრძოლას უმაღლეს დონეზე ჯერჯერობით გაბრიჩიძე განაგრძობს. ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მოსკოველ ჩესნოკოვს უნდა შეხვდეს.

**იხ. მე-4 გვ.**

# მედლები და წვლილი

საქართველოს IX სპარტაკიადა დამთავრდა, შეჯამდა შედეგები, გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ კოლექტივებს ჯილდოები და პრიზები გადაეცათ. ერთი სიტყვით, საქართველოს IX სპარტაკიადა ჩვენი სპორტული მოძრაობის ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ამით ყველაფერი არ მთავრდება. სპარტაკიადამ, მისმა შედეგებმა ბევრი საფიქრალი და საზრუნავი დაგვიტოვა, დაგვანახა ის ნაკლოვანებები, რაც წინსვლას აფერხებს, ხელს გვიშლის მასობრიობიდან ოსტატობისაკენ მიმავალ გზაზე. ამ ნაკლოვანებათა გამო მწყობრი სისტემის ნაცვლად იქმნება დაქსაქსულობა. სპორტის ბევრ სახეობაში ზონალური შეჯიბრებები არ ჩატარებულა იმ ცნობილი მიზეზის გამო, რომ რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში არ ჰყავთ სპორტსმენები და გუნდები, არის სახეობები, სადაც თითებზე შეიძლება ჩამოვთვალოთ მონაწილეები.

როცა რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში ყველაზე მეტი წვლილი ერთ-ორ ქალაქს ან რაიონს შეაქვს, ეს საგანგაშოდ უნდა მივიჩნიოთ. ნუ დაგვავიწყდება, მასობრიობა მდიდარ არჩევანსაც გულისხმობს — რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისთვის საუკეთესოთა შორის საუკეთესოების გამორჩევას. ამას ახლა იმიტომაც ვამბობთ, რომ ქართული სპორტი დღეს სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის სარბიელზე აბარებს მკაცრ გამოცდას და იქ მოპოვებული შედეგები პირდაპირ პროპორციულია რესპუბლიკაში სპორტის განვითარების დონისა.

საქართველოს სპარტაკიადის შედეგებს ზერელედაც რომ გადავავლოთ თვალი, აშკარად დავინახავთ ჩვენს სპორტში არსებულ შეუსაბამობას და არათანაბარ განვითარებას. შესაძლებლობებს ყველგან როდი ვიყენებთ, ადგილებზე ხელმძღვანელი მუშაკები ურიგდებიან ნაკლოვანებებს, საქმე თვითდინებაზეა მიშვებული.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ერთ მონაწილეს, ვთქვათ, მძლეოსნობის მარტო ერთ სახეობაში შეუძლია მოიპოვოს 36 ქულა, მთელ სპარტაკიადაზე კი 10 ქულაც ვერ მოაგროვეს ადიგენის, აბაშის, წალენჯიხისა და თიანეთის რაიონებმა. ცალ-ცალკე 100-ზე ნაკლები ქულა მოაგროვეს ხაშურის, დმანისის, წითელი წყაროს, გურჯაანის, წულუკიძის, ჩხოროწყუს და ორჯონიკიძის რაიონებმა. მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ლანჩხუთის, წალკის, მარნეულისა და ყაზბეგის რაიონებმა ვერც ერთი ქულა ვერ დაიმსახურეს, ხოლო ახალქალაქის, ასპინძის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვკისა და ცაგერის რაიონებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა სპარტაკიადაში. ჩვენ ამ შედეგებს ადრეც ვიუწყებოდით და ზემოაღნიშნული რაიონებისაგან არავითარი პასუხი არ მიგვიღია. ვფიქრობთ, ჩამორჩენის მიზეზებზე მკაცრად იმსჯელებენ ადგილებზე და არც რედაქციას დაუგვიანებენ პასუხს ეს რაიონები.

და აი, ისმის ლოგიკური კითხვა: ვის კისერზე გადადის ძირითადად სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაში მონაწილეობა?

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნულია საქართველოს ის რეგიონები, რომელთა წარმომადგენლებმაც სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე დღემდე გამართულ ფინალურ ასპარეზობებში დაიცვეს რესპუბლიკის სპორტული ღირსება. აქვე ნახავთ, ვის რამდენი წარმომადგენელი ჰყავდა ნაკრებში, ვინ რამდენი ქულა და მედალი მოიპოვა.

| ადგილი | ქალაქი, რაიონი | მონაწილე | ქულა |
|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 82 | 465,67 |
| 2. | ქუთაისი | 12 | 132,0 |
| 3. | აფხაზეთი | 15 | 101,49 |
| 4. | გორის რ-ნი | 3 | 61,0 |
| 5. | საგარეჯო | 3 | 45,0 |
| 6. | აჭარა | 7 | 42,6 |
| 7. | დუშეთი | 2 | 40,5 |
| 8. | ფოთი | 5 | 31,0 |
| 9. | მესტია | 1 | 25,0 |
| 10. | კასპი | 3 | 25,0 |
| 11. | გარდაბანი | 4 | 25,0 |
| 12. | ზუგდიდი | 2 | 11,4 |
| 13. | გორი | 3 | 11,0 |
| 14. | ყვარელი | 1 | 9,0 |
| 15. | სამტრედია | 2 | 5,7 |
| 16. | რუსთავი | 2 | 1,14 |
| 17. | ახმეტა | 1 | 0 |
| 18. | მცხეთა | 1 | 0 |
| 19. | წყალტუბო | 1 | 0 |

**მედლები:**

| | | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 4 | 2 | 1 | 7 |
| 2. | ქუთაისი | 2 | — | — | 2 |
| 3. | გორის რ-ნი | 1 | — | 1 | 2 |
| 4. | საგარეჯო | 1 | — | — | 1 |
| 5. | მესტია | — | — | 1 | 1 |
| 6. | კასპი | — | — | 1 | 1 |
| 7. | დუშეთი | — | — | (1) | (1) |

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია პარალელური ჩათვლა.

# „სიჭაბუკის" თასზე

**არტემოვსკი.** (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება „სიჭაბუკის" თასის საკავშირო ფინალური გათამაშება ფეხბურთში. მეორე ტურში საქართველოს ფეხბურთელთა მეტოქე იყო თურქმენეთის ნაკრები. ჩვენმა გუნდმა სრული უპირატესობით ჩაატარა მატჩი და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0. 2 ბურთი გაიტანა ნასუაშვილმა, თითო — გვასალიამ და ჯანჯალაშვილმა.

მეორე ტურში სომხეთის ჭაბუკებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს რსფსრ-ს გუნდი, ხოლო უკრაინელებმა მოუგეს აზერბაიჯანელებს — 2:1.

გათამაშებას ამჟამად ლიდერობს სომხეთის გუნდი, რომელსაც 4 ქულა აქვს. საქართველოს და უკრაინის ფეხბურთელებმა 3-3 ქულა დააგროვეს.

# თასის მაძიებლები თბილისის სპორტის სასახლეში...



როგორც იცით, დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება კალათბურთელ ვაჟთა 1986 წლის საკავშირო თასის გათამაშების მესამე ეტაპი. ჩვენს ქალაქში სასპარეზოდ შეიკრიბნენ კიშინიოვის „მოლდოვა", მოსკოვისა და კიევის არმიელები და თბილისის დინამოელები.

სათასო ტურნირის დაწყების წინ კარგი იქნება თუ ერთხელ კიდევ გადავავლებთ თვალს თასის გათამაშებათა ისტორიას, მით უმეტეს, რომ თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებს მოსაგონებელი მართლაც ბევრი გვაქვს: ჩვენმა გუნდმა ექვსჯერ ითამაშა ფინალში, აქედან ოთხჯერ — წარმატებით.

პირველად ეს მოხდა 1949 წელს. თბილისელებმა ფინალურ მატჩში რიგელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს და ანგარიშით 24:19 დაამარცხეს ისინი. თბილისელები მომდევნო, 1950 წელსაც ფინალში გავიდნენ. ამჯერად თავად ჩავიდნენ სტუმრად მოსკოვში, ადგილობრივი და თბილისელი დინამოელების შეხვედრა ქართველი კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 49:36. მესამე წელიც იღბლიანი გამოდგა მათთვის—1951 წელს, ლენინგრადში, თასის გათამაშების ფინალურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი (37:28) და ზედიზედ მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. ერთი წლის შემდეგ, 1953 წელს, თბილისელები კვლავ ფინალისტები არიან, მაგრამ კაუნასის „ჟალგირისთან" მოსკოვში ჩატარებული გადამწყვეტი შეხვედრა ბალტიისპირელთა გამარჯვებით დასრულდა — 55:41. თბილისელებმა მეოთხედ 1969 წელს მიაღწიეს წარმატებას. წინასწარ თამაშებში, მათ ჯერ კიეველი არმიელები დაამარცხეს, შემდეგ ნახევარფინალში მოსკოვის „დინამოს" მოუგეს, ფინალურ მატჩში კი კიევის „სტროიტელს" სძლიეს — 88:78. თბილისელთათვის ბოლო, მეექვსე ცდა მარცხით დამთავრდა — 1973 წელს სოჭში ისინი წინა წლის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ მოსკოვის არმიელებთან დამარცხდნენ. მოსკოველებმა კიდევ ორჯერ მოიპოვეს თასი — 1982 და 1985 წლებში. 1952 წელს თასს დაეუფლა რიგის „დინამო", 1978 წელს — ლენინგრადის „სპარტაკი".

**მერაბ კალანდაძე.**

# კვლავ გაურკვეველი მდგომარეობაა

**ქუთაისი,** 15 აგვისტო (ტელეფონით, „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი). სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირზე კიდევ ორი ტურის შეხვედრები გათამაშდა. VII ტურში ქეთევან მელაშვილმა (თბილისი) პირველი გამარჯვება იზეიმა. მან დაამარცხა დუშანბელი ლოლა ნასიროვა, აღსანიშნავია, რომ ეს ნასიროვას ზედიზედ მეექვსე მარცხია ამ ტურნირში. მას არც მინსკელი ოლგა ლომაკინა ჩამორჩება (4 დამარცხება). თუმცა მან ამ ტურში გადადო პარტია კიეველ ელენა სედინასთან. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ თავი გამოიდო მოსკოველმა ელენა ფათალიბეკოვამ. მან ამ ტურში მახარაძელ მზია წერეთელს სძლია. დიანა ეშჩენკო (ვლადივოსტოკი) დამარცხდა მოსკოველ გალინა სტრუტინსკაიასთან ორთაბრძოლაში. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ჰენრიეტა ლაგვილავას, რომელიც ტურნირის ლიდერს, ალმაათელ ფლორა უსკოვას ეთამაშებოდა, ხარისხი აქვს ორი პაიკის სანაცვლოდ. თბილისელი ქეთევან არახამიასა და მინსკელი ირინა ბოტვინიკის პარტია რთულ პოზიციაშია გადადებული.

VIII ტურში კრასნოიარსკელმა ირინა კულიშმა მოუგო მელაშვილს, უსკოვამ — ბოტვინიკს, ნასიროვა დამარცხდა ფათალიბეკოვასთან, წერეთელი და ლაგვილავა დაზავდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. არახამიას ზედმეტი ხარისხი და მოგების შანსები აქვს ლომაკინასთან შეხვედრაში.

ამრიგად, რვა ტურის შემდეგ 17 პარტიაა გადადებული და გამოკვეთილად რაიმეს თქმა ძნელია. სავარაუდოა, რომ ბევრი რამ პარტიების დამთავრების შემდეგ გაირკვევა. მანამდე კი გათამაშებას ლიდერობენ: უსკოვა — 4,5 (3), ფათალიბეკოვა — 4,5, ლაგვილავა — 4 (2), არახამია —3,5 (3), წერეთელი — 3,5 (1). მელაშვილს 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

**თამაზ ხარაბაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სპორტის კარიბჭესთან

# შესანიშნავი მასპინძლობა და...

**ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მოცურავეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს შეჯიბრება, რომელიც ტარდება დევიზით „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან". წლევანდელ ახეთ ასპარეზობაში, რომელიც ხობში გაიმართა, 1972-1973 და 1974-1975 წლებში დაბადებული გოგონები და 1971-1972 და 1973-1974 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ. სრული გუნდი ბავშვთა და მოზარდთა ცხრა სპორტულმა სკოლამ გამოიყვანა, შეჯიბრება მიზნად ისახავდა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენას და ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებისა და მწვრთნელთა მუშაობის შემოწმებას.**

გაურკვეველი მიზეზების გამო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისალებად არ ჩამოსულა „შრომითი რეზერვების" გუნდი, რომელმაც სასწავლო-სავარჯიშო შეკრება კარგ პირობებში გაიარა თბილისში. ნუთუ მათ არ სურდათ თავიანთი მოცურავეების შემოწმება? **ქუთაისის მოცურავეთა გუნდი „განთიადი" შეჯიბრებაზე ნახევარი შემადგენლობით წარსდგა** (გუნდი 16 მოცურავისგან შედგება), ქუთაისში კი ექვს მწვრთნელზე მეტი მუშაობს, რა გამოდის, ერთი მწვრთნელი ერთ მოცურავესაც ვერ ზრდის? სხვათა შორის, იმ ექვსმა სპორტსმენმაც ძალზე სუსტად იასპარეზა.

საერთოდ, შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. ბევრმა სპორტსმენმა გააუმჯობესა შარშანდელ ანალოგიურ შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგები. **მადლობა უნდა ვუთხრათ შეჯიბრების ორგანიზატორებს სპორტსმენთა დაბინავებისა და კვების საკითხის მაღალ დონეზე მოგვარებისთვის.** მოგეხსენებათ, ეს დიდ გავლენას ახდენს შეჯიბრების შედეგებზე. სტუმართმოყვარე მასპინძლები იყვნენ ხობის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ აუზის თანამშრომლები, რომლებმაც ბრწყინვალედ მომზადებული ბაზა დაახვედრეს შეჯიბრების მონაწილეებს. ასეთ ბაზაზე ნებისმიერი რანგის პირველობის ჩატარება შეიძლება. ყველაზე მომთხოვნმა მთავარმა მსაჯმაც კი ვერაფერი აღმოაჩინა ურიგო. ერთი სიტყვით, ბარაქალა აუზის თანამშრომლებს (დირექტორი მ. ჩიქობავა).

რატომ ვწერთ ასე ხაზგასმით სპორტსმენებისთვის შექმნილ პირობებზე? იმიტომ, რომ მოცურავეები არ არიან განებივრებული შეჯიბრების მომწყობი ორგანიზაციების ყურადღებით.

ახლა მთავარზე, შეჯიბრების შედეგებზე ვილაპარაკოთ. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I „დინამო" (თბილისი) — 1620 ქულა, II „განთიადი" (თბილისი) — 1385, III „ბურევესტნიკი" (თბილისი) — 995, IV თბილისის სახალხო განათლების სამმართველო — 895, V „განთიადი" (რუსთავი) — 835, VI „დინამო" (აფხაზეთი) — 492, VII „კოლმეურნე" (აფხაზეთი) — 365, VIII „ზენიტი" — 341, IX „ვოდნიკი" (ბათუმი) — 208.

როგორც შედეგებიდან ჩანს, **ყველაზე სუსტად აჭარის სპორტსმენები გამოვიდნენ.** საინტერესოა,



ვინ უნდა აგოს პასუხი ამაზე? იყო დრო, როცა ბათუმში, ქობულეთში, მახინჯაურში მოცურავეები და სპორტსმენები იყვნენ, მაგრამ აუზები არ ჰქონდათ. ვარჯიშობდნენ პირდაპირ ზღვაში, საწყლოსნო სადგურებში. აი, მაშინ ბევრი შავიზღვისპირელი სპორტსმენი იყო რესპუბლიკის ნაკრებში, დღეს კი, დღეს ისევ ვსვამთ კითხვას: **ვინ აალორძინებს სპორტულ ცურვას აჭარაში?** ვინ გაგვცემს ამ კითხვაზე პასუხს?

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ, მწვრთნელებმა და გუნდების წარმომადგენლებმა დაასახელეს საუკეთესო მოცურავეები. საუკეთესოდ აღიარეს და პრიზებით დააჯილდოვეს ვლადიმერ სტეპანოვი („ბურევესტნიკი" თბილისი, მწვრთნელი ნ. მინასაშვილი) და ანა ელიზბარაშვილი („დინამო" თბილისი, ი. ნათაძე). ვ. სალნიკოვის სახელობის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა გია ბახტაძე („დინამო" თბილისი, ე. ზაქარეიშვილი), საუკეთესოთა შორის მოხვდა თემურ გუგუბერიძე („დინამო" სოხუმი, ნ. იახოპულო). რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატებად შეარჩიეს ლინა ქიპაშვილი („განთიადი" თბილისი, გ. სარაჩენცევა), ნინო პიქაძე („განთიადი" თბილისი, მ. მაჭავარიანი), ირინა კალიაშვილი („დინამო" თბილისი, ი. ნათაძე), ელენა ლუკიანჩუკი („განთიადი", თბილისი, გ. სარაჩენცევა), ტატიანა ქდანოვა („დინამო" თბილისი, ი. ტიშკინი), როლანდ გუკასოვი („განთიადი" თბილისი, გ. სარაჩენცევა), რეზო ელიზბარაშვილი („დინამო" თბილისი, დ. მაჭარაშვილი), ვალერი ჩეჩკო („განთიადი" რუსთავი, ა. იოაკიმიდი), ზურაბ რიაბკოვი (მწვრთნელი ა. პიცირიანი) და სხვები. აქვე ვიტყვი, რომ ამ მოცურავეთა შემდგომ ბედზე, მათს სპორტულ ზრდაზე ზრუნვა გვმართებს.

აუცილებელია მომავალში გადაისინჯოს შეჯიბრების — „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან" დებულება, ვინაიდან სამი დღის განმავლობაში ასპარეზობისას სპორტსმენს 8-9-ჯერ უწევს სტარტზე გამოსვლა, რაც ბავშვებისთვის ძალზე დამღლელია.

რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს აღმზრდელობითი მუშაობა. ხობის რაიონი ამ მხრივ მათ მეტად საინტერესო მასალას აწვდის. აქ კარგად ჩანს როგორ ებრძვის ადამიანი ბუნებას, ითვისებს ახალ მიწებს, აშრობს ჭაობებს. რაიონში არის მუზეუმი. კარგი იქნება ბავშვებს შეჯიბრებიდან თავისუფალ დროს ამ ადგილებს თუ დავათვალიერებინებთ, ვესაუბრებით წარსულზე, მომავლის პერსპექტივებზე. დიახ, **მწვრთნელისა და შეგირდის ურთიერთობა მარტო სპორტული შედეგებით არ უნდა ისაზღვრებოდეს.**

რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, მათ ზრდაზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: შარშან პირველი თანრიგის შედეგი აჩვენა 23 სპორტსმენმა, მეორე თანრიგისა — 218. წელს ხუთმა მოცურავემ ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა, 62-მა I თანრიგის, 292-მა II თანრიგის, მათ მხოლოდ ერთეულები ჩამორჩნენ.

სპორტსმენები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ **პრიზიორები მედლებით და სამახსოვრო სამკერდე ნიშნებით არ დააჯილდოვეს.** მართლაც საწყენია. სამკერდე ნიშანი ის სუვენირია, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სამახსოვროდ რჩება ადამიანს.

**ლ. იოაკიმიდი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

# საექიმო კონტროლი და თვითკონტროლი

**დღეს** მასობრივ გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში საექიმო კონტროლისა და თვითკონტროლის პრაქტიკულ საკითხებზე ვისაუბრებთ.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: 1. ყველას შეუძლია თუ არა ივარჯიშოს. 2. ფიზიკური დატვირთვის რომელი სახეობა უფრო მიესადაგება მათი ორგანიზმის ფუნქციონალურ შესაძლებლობას. 3. ყველასთვის ეფექტი მოაქვს თუ არა ფიზიკურ ვარჯიშებს, ანუ რამდენად უწყობს იგი ხელს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მისი შრომისუნარიანობის ამაღლებას. აქედან გამომდინარე, საექიმო კონტროლის ამოცანები და შინაარსი ითვალისწინებს ასევე სამი ამოცანის გადაწყვეტას.

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა ისეთი სახის პათოლოგიური გადახრების გამოსავლენად, რომლის დროს ვარჯიში არ შეიძლება.

2. მომეცადინეთა ფუნქციონალური მდგომარეობის განსაზღვრა სათანადო რეკომენდაციების მისაცემად (ყოფით, შრომისა და კვების რეჟიმის დასადგენად).

3. კონტროლის დაწესება უშუალოდ მეცადინეობის პროცესში, რომლის დროსაც უნდა შევისწავლოთ: ავადობა, ორგანიზმის ფუნქციონალურ შესაძლებლობათა ცვლილება, სხვადასხვა გადახრები, ცალკეული საწვრთნელ-სავარჯიშო მეცადინეობების გავლენა ორგანიზმზე და აღდგენითი პროცესების მიმდინარეობა ვარჯიშის შემდეგ, უნდა ჩავატაროთ ეტაპური და მიმდინარე საექიმო კონტროლი და თვითკონტროლი. პირველი და მეორე ამოცანა უნდა გადაწყდეს ფიზიკური ვარჯიშების დაწყების წინ, ხოლო მესამე — უშუალოდ მეცადინეობის პროცესში.

ფიზიკური ვარჯიშების ფორმის, მისი მოცულობისა და ინტენსივობის დადგენა თვითონვე შეგვიძლია, მაგრამ ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში ყოველნაირი ფიზიკური ვარჯიში საზიანოა. ეს დაავადებაა:

1. გულის უკმარისობა, განურჩევლად მისი წარმომშვები მიზეზისა.

2. სუნთქვის უკმარისობა, განურჩევლად მისი გამომწვევი მიზეზისა.

3. გულის იშემიური დაავადება გამწვავების სტადიაში (არასტაბილური სტენოკარდია).

4. გულის კუნთის ინფარქტის შემდგომი პერიოდი დაავადებიდან 6 თვემდე.

5. თირკმელების ქრონიკული დაავადებები.

6. არტერიული ჰიპერტონია, რომელიც არ კორიგირდება მკურნალობის შედეგად.

7. ყველა დაავადება (მათ რიცხვში ინფექციურიც) მწვავე ფაზაში.

8. გამწვავებული ქრონიკული დაავადებები.

მასობრივ-გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში მომეცადინეთა საექიმო კონტროლი, სპორტსმენისგან განსხვავებით, უნდა ემყარებოდეს შედარებით უბრალო მეთოდებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ფიზკულტურელთა დატვირთვა უნდა ეტეოდეს მათ ფუნქციონალურ შესაძლებლობათა ფარგლებში, თანაც ფიზიკური დატვირთვა უნდა იზრდებოდეს თანდათან. სწორედ ამიტომ ფიზკულტურელთა საექიმო კონტროლის დროს საჭიროა შეირჩეს მარტივი და ინტეგრალური კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოავლენენ ორგანიზმის სუბიექტურსა და ობიექტურ მდგომარეობას.

ფიზკულტურელს, მისი ორგანიზმის საექიმო შესწავლის შემდეგ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სქესის, ასაკის, წონისა და მომზადების გათვალისწინებით ეძლევა რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ ვარჯიშების რომელი ფორმაა მისთვის უპრიანი, რა მოცულობითა და ინტენსივობით.

მასობრივ-გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში მომეცადინე პირების საექიმო კონტროლი ევალებათ პოლიკლინიკებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განმეორებითი საექიმო შემოწმება უნდა მოხდეს 4 თვის შემდეგ და შემდგომ ყოველ 6 თვეში ერთხელ. საექიმო შემოწმების პროგრამა ტრადიციულია, დიაგნოზს სვამენ შემდეგი სპეციალისტები: ყელ-ყურ-ცხვირი, ოკულისტი, ქირურგი, ნევროპათოლოგი. ქალები — გინეკოლოგთან, თერაპევტი. საჭიროა ჩატარდეს რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, სისხლისა და შარდის ანალიზი, 40 წელზე მეტი ხნის მამაკაცებისათვის და 50 წელზე მეტი ხნის ქალებისათვის აუცილებელია ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა, როგორც მშვიდ მდგომარეობაში, ისე დატვირთვის დროს ფარული კორონალური უკმარისობის გამოსავლენად. 40 წლამდე ასაკის პირები სამეცადინეოდ დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავლილი აქვთ ღრმა საექიმო შემოწმება ბოლო ერთი წლის განმავლობაში. 40-59 წლის ასაკის ადამიანები — სამი თვით ადრე უნდა ეჩვენონ ექიმს. 60 წლის ასაკის ან უფრო ხნიერი ადამიანები — უშუალოდ ვარჯიშის დაწყების წინ.

გარდა საექიმო კონტროლისა, ყოველი ფიზკულტურელი უნდა ეწეოდეს თვითკონტროლს. ამისათვის საკმარისია ვაწარმოოთ დღიური, რომელშიც აღვწერთ ჩვენს ყოველდღიურ მდგომარეობას და დავაკვირდებით მის ცვალებადობას. მხედველობაში გვაქვს ძილი, წონა, გულის ცემის სიხშირე წუთში ვარჯიშამდე, ვარჯიშის დროს, ვარჯიშის შემდეგ, ვარჯიშის დამთავრებიდან 10 და 15 წუთის შემდეგ. იქვე უნდა მივუთითოთ თარიღი, ვარჯიშის ხასიათი, დრო, ადგილი, თვითშეგრძნება ვარჯიშის შემდეგ, შრომისუნარიანობა დღის განმავლობაში.

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ იტანს ფიზკულტურელი ფიზიკური ვარჯიშის შერჩეულ ფორმას, მის მოცულობას და ინტენსივობას.

ძირითად კრიტერიუმად მიღებულია გულის ცემის სიხშირის განსაზღვრა. საშუალო და უფროსი ასაკის მომეცადინეთა მაჯის სიხშირე უშუალოდ ვარჯიშის დროს არ უნდა აღემატებოდეს 200-ს გამოკლებული მათი ასაკი, ხოლო ვარჯიშის დამთავრებიდან 10-15 წუთის შემდეგ იგი უნდა დაუბრუნდეს საწყის დონეს, ან შეადგენდეს მის 75%-ს. უფრო ხშირი პულსის ან აღდგენითი პერიოდის გახანგრძლივებისას საჭიროა ფიზიკური დატვირთვის შემცირება. ასევე ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, თუ როგორი ძილი გვაქვს, ან იმასაც, გვაქვს თუ არა სურვილი გავაგრძელოთ ვარჯიში (რათა თავიდან ავიცილოთ გადაღლა). ხშირად მოვარჯიშეები მოითხოვენ ექიმის დასწრებას მეცადინეობაზე. ასეთი პრეტენზიის დაკმაყოფილება არამარტო შეუძლებელია, არამედ უსაფუძვლოდაც მიმაჩნია. უსაფრთხოებისათვის მომეცადინეთაგან ჩვენი რეკომენდაციებისა და არსებული საექიმო კონტროლის წესის დაცვაც საკმარისია.

ქალაქის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერში 1981 წელს შეიქმნა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში მომეცადინე პირებზე საექიმო კონტროლის განყოფილება, რომელიც ჯერჯერობით პირველი და ერთადერთია საბჭოთა კავშირში. მართალია, ჯერ მხოლოდ ორგმეთოდური სამსახურით ვართ შემოფარგლული, მაგრამ სულ მალე პრაქტიკული დახმარების გაწევასაც შევძლებთ. ამ საქმეში გარკვეულ სამსახურს გაგვიწევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრები.

**ოთარ ვირუბოვი,**
**საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

# აგვისტოში... ბაკურიანის ტრამპლინზე

**ბაკურიანში** დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს საზაფხულო ჩემპიონატმა თხილამურებით ხტომაში 40-მეტრიანი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან.

საპატიო მიზეზით სტარტზე ამჯერად ვერ გამოვიდნენ კახა წაქაძე, იბრაჰიმ გობოზოვი და გიორგი დიაკონაშვილი.

შესანიშნავად იასპარეზა 18 წლის წალვერელმა სპორტსმენმა, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ელგუჯა ორჯონიკიძემ („დინამო"). მან პირველ ცდაზე 50,5 მეტრი უჩვენა, მეორეზე — 51,5 მეტრი და 250,1 ქულით პირველობა დაისაკუთრა. მეორე იყო ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი, 20 წლის ვალერი იარემოვი (ასკ) — 248,1 (50 და 52), მესამე — ოსტატობის კანდიდატი, 23 წლის ელგუჯა ყოროშვილი („კოლმეურნე", ბაკურიანი) — 246,2 (51 და 50).

მფრინავ მოთხილამურეთა მომდევნო სტარტი — საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის — ბაკურიანის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე 13-14 სექტემბერს გაიმართება.

**„ლელოს" კორ.**
**ტელეფონით.**

# ისვენებენ, კაჟდებიან

**აჭარის მთები,** ანკარა მდინარეები, ისტორიული ძეგლები და ლურჯი ზღვა ბევრ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავს მწვანე კონცხზე მდებარე ტურისტულ ბაზას. ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთ უძველეს ბაზაში სხვადასხვა საკავშირო ტურისტული მარშრუტებით ჩამოდიან. ზოგი ორჯონიკიძიდან იწყებს მოგზაურობას, მამისონს გადმოლახავს და მწვანე კონცხზე ჩერდება; ზოგი ერევნისა და ქუთაისის გავლით ჩამოდის, ცხენოსნობის შოტრფიალენი კი ზეკარის გადასასვლელით გადმოდიან. ტურისტულ ბაზაში სისხლსავსე ცხოვრებაა. საღამოობით მთავარ კორპუსთან იკრიბებიან დამსვენებლები. აქ თავის ხელოვნებას უჩვენებს თვითმოქმედი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი.

ტურისტები ხშირად გადიან კოლმეურნეობებში — აინტერესებთ როგორ იკრიფება ჩაის ფოთოლი.

დამსვენებლებს ხშირად ნახავთ კალათბურთისა და ხელბურთის მოედნებზე, ჭადრაკისა და შაშის დაფებთან, ჩოგბურთის მაგიდებთან, ზოგს კიდევ ყველაფერს თევზაობა ურჩევნია.

— პირველად ჩამოვედი აჭარაში. მოხარული ვარ, რომ არჩევანმა გამიმართლა. — გვითხრა ვოლგოგრადელმა პედაგოგმა ტატიანა ლუკაშევამ.

კმაყოფილნი არიან სხვებიც. ოღონდ ამინდმა არ გვიღალატოსო — ამბობენ ისინი.

**ოთარ მურვანიძე.**
**„ლელოს" კორ.**
ბათუმი.

სტუდენტური ზაფხული-86

# ოთხ სახეობაში

**280-ზე** მეტმა სტუდენტმა — შრომითი სემესტრის მონაწილემ მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა სპარტაკიადაში, რომელსაც ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლე მასპინძლობდა. შეჯიბრების პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი და ჭადრაკი.

კარგად იასპარეზეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდებმა. პირველობისათვის ბრძოლაც ძირითადად სწორედ მათ შორის წარიმართა. უძლიერესნი პოლიტექნიკოსები აღმოჩნდნენ.

სტუდენტმა სპორტსმენებმა ძალა მოსინჯეს ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ მასობრივ შეჯიბრებებშიც — მაგიდის ჩოგბურთში, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაძალვაში, ერთდროული თამაშის სეანსში ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატ ელიზბარ უბილავასთან.

**ალიკო კაპანაძე.**



# ლანჩხუთის მაგალითი

ვფიქრობ, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში სპორტის სახეობათაგან ყველაზე მეტი მოყვარული და ერთგული გულშემატკივარი ფეხბურთს ჰყავს. მაგრამ ამ მხრივ მაინც ყველასაგან გამოირჩევა ლანჩხუთის რაიონი, სადაც ფეხბურთის პოპულარობა განსაკუთრებით დიდია. ფეხბურთი აქ იმდენად დიდი, მართლაც უსაზღვრო სიყვარულით უყვართ, რომ. სპორტის სხვა სახეობების განვითარებას, რა დასამალია, საჭირო ყურადღებას აღარ აქცევენ. მაგალითად, განა რა დაშავდებოდა იმით, რომ რაიონის ერთადერთი, ხალხმრავალი ტრიბუნებით აღჭურვილი სტადიონი მძლეოსნობისთვისაც გამოეყენებინათ? მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ფეხბურთის ღირსების დამცირებად მიუჩნევიათ. და აი, თანამედროვე სტადიონზე, სადაც საფეხბურთო მინდორს მალე სამი მხრიდან მრავალიარუსიანი ბეტონის ტრიბუნები შემოერტყმება, არ არის სარბენი ბილიკები და, საერთოდ, მძლეოსნური ბირთვი. ეს მით უფრო საწყენია, რომ ლანჩხუთის რაიონში საერთოდ არ არის არც ერთი მძლეოსნური ნაგებობა, არც ერთი სარბენი ბილიკი, თუ რაიონში მძლეოსნობის განვითარება არ უნდათ (?!), იმაზე მაინც იფიქრონ, რომ ვარჯიში ისეთ ბუნებრივ მოძრაობებში, როგორიც არის რბენა, ხტომა ან ტყორცნა (ცურვასაც დავუმატებ), აუცილებელია სიჯანსაღისთვის და სპორტის სხვა სახეობებში მიღწევებისთვის. ამგვარი უყურადღებობა, ცხადია, თავის დაღს ასვამს თვით ფეხბურთელთა მომზადებასაც. აქედან გამომდინარე, რაოდენ სასურველიც უნდა იყოს ფეხბურთისადმი ლანჩხუთელების სიყვარული და ერთგულება, ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვართ გადაჭარბებისა, რაც სპორტის სხვა სახეობათა მიმართ აშკარა ყურადღების მოდუნებას იწვევს. თითქოს რაღაც დამნაშავედაც კი გრძნობ თავს, როცა რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების ცხრილში ყველა სახეობაში ლანჩხუთელთა ნულებს ხედავ.

თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ ფეხბურთს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლანჩხუთის რაიონი კარგა ხანია ქართულ ფეხბურთში თავისებურ ფენომენად იქცა. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ რაიონი პატარაა — 533,1 კვ. კილომეტრი ფართობი და 40 ათასზე ცოტა მეტი მცხოვრები. მაშასადამე, ფეხბურთში მომეცადინეთა საერთო რაოდენობითა და ფეხბურთის მინდვრების რიცხვით იგი ვერავის გააოცებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ რაიონის ოსტატთა გუნდი გაჩნდა და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის ჩემპიონატის II ლიგაში, ზოგიერთს ...ერა და ვერ უპატიებია მისთვის ეს წარმატება. რას აღარ ამბობდნენ, რით აღარ ხსნიდნენ ლანჩხუთელთა მიღწევებს, რომლებიც ვითომ დამსახურების მიხედვით კი არა, რაღაც სხვა საშუალებებით გაიკაფეს გზა II ლიგისაკენ. ლანჩხუთის გუნდმა კი თითქოს მოშურნეთა საპასუხოდ, I ლიგაშიც გადაინაცვლა და მტკიცედაც მოიკიდა იქ ფეხი. დღეს ლანჩხუთის „გურიას“ ყველგან პატივისცემით იხსენიებენ. ხუმრობა ხომ არ არის: ლანჩხუთს, ...ლ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პატარა რაიონული მნიშვნელობის ქალაქს, I ლიგის ოსტატთა გუნდი ჰყავს! თანაც ეს არ არის შემთხვევით წამოტივტივებული გუნდი, „ხალიფა ერთი საათით“, რომელსაც გული უკანკალებს იმით, ლიგიდან არ გავვარდეთო. არა, ლანჩხუთის „გურია“ ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ლიგაში წლევანდელ სეზონში. ჩვენ ვხედავთ ამას და გვიკვირს, რადგან, თუ გულახდილნი ვიქნებით, ლანჩხუთელებს არასოდეს არ ვანებივრებდით განსაკუთრებული ყურადღებით, ამ წარმატებას მათ, პირველ ყოვლისა, თავიანთი მონდომების წყალობით მიაღწიეს და ყველას უჩვენეს, რამდენს ნიშნავს სურვილი, ნამდვილი მოწადინება. სწორედ ეს სურვილია ის ფენომენი, რომელმაც ამ ბოლო ხანს საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის ყურადღება მიიქცია. კოლეგიამ საგანგებოდ აღნიშნა ლანჩხუთელთა დადებითი გამოცდილება, თუმცა არც ნაკლოვანებებისთვის აუვლია გვერდი.

დავიწყოთ დადებითით, მით უფრო, რომ რესპუბლიკის ფეხბურთში ასეთი გამოცდილება სულ უფრო იშვიათი ხდება. პირველ ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ ისევ და ისევ „გურია“, იმიტომ რომ, თუ ფეხბურთში რაიონის წარმატებებს მათი მნიშვნელობის მიხედვით დავაჯგუფებთ, რა კუთხითაც უნდა შევხედოთ სინამდვილეს, პირველად ეს გუნდი მოგვხვდება თვალში. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ პატარა რაიონის გუნდისთვის ბევრად უფრო ძნელია I ლიგის ფარგლებში რაიმე წარმატების მიღწევა, ვიდრე, ვთქვათ, ჩვენი „დინამოსათვის“ — ქვეყნის მასშტაბით. ამ უკანასკნელს ყოველგვარი პირობები აქვს, ლანჩხუთის „გურია“ კი ამ მხრივ, რაღა თქმა უნდა, ვერ გაუტოლდება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ლანჩხუთელთა გუნდს ყოველ წუთს ემუქრება საფრთხე საუკეთესო ფეხბურთელთა დაკარგვისა, რომლებსაც ან თბილისის „დინამო“ წაიყვანს, ან ქუთაისის „ტორპედო“ (ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ). მაშასადამე, თუ ცალ-ცალკე, შესაკრებთა მიხედვით შევადარებთ (მწვრთნელი, შემადგენლობა, პირობები), სწორედ „დინამო“ უნდა გვანიჭებდეს სიხარულს და არა „გურია“, მაგრამ მთლიანობაში პირიქით გამოდის, რამდენადაც საკითხს წყვეტს არა ცალკეულ შესაძლებლობათა დონე, არამედ საერთო ძალისხმევა, საქმისადმი დამოკიდებულების დონე, ისევ და ისევ ვიმეორებთ: სურვილი და მონდომება.

ვის უნდა ვუმადლოდეთ „გურიის“ წარმატებებს და იმას, რომ ეს გუნდი გვყავს? — პირველ ყოვლისა იმ ხალხს თვით გუნდში თუ მის ირგვლივ, ვინც სიძნელეებს არ უშინდებოდა, ვინც გატაცებით და ერთგულად ეკიდებოდა თავის საქმეს, უნდა ვუმადლოდეთ, რომ არსებობს გუნდი „ჩიბათი“, რომელიც ლანჩხუთელთა მასობრივი ფეხბურთის ღირსებას იცავს რესპუბლიკურ პირველობაში; რომ ჰყავთ მესამე გუნდიც — „ჰერეთი“, რომელიც ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობს. დიახ, მხოლოდ ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ მწვანედ აბიბინებულ, კარგად მოვლილ, ნორმალურ საფეხბურთო მინდვრებსაც, პატარა მინდვრებსაც, რომლებსაც ლანჩხუთელები ბაზების სიაში არც კი იხსენიებენ, თუნდაც ისეთ მყუდრო საფეხბურთო სარბიელს, მთის შორეულ სოფელ გულიანში რომ არის. მათ უნდა ვუმადლოდეთ მრავალნაირ შეჯიბრებებსაც, რომელთა მეშვეობითაც რაიონის საფეხბურთო ცხოვრებაში ალტაცებით ჩაება დიდი და პატარა. აქ იგულისხმება რაიონული პირველობაც, რომელშიც შარშან 14 გუნდმა მიიღო მონაწილეობა; იგულისხმება თასის გათამაშებაც (მართალია, ამ შეჯიბრებაში გასულ წელს მხოლოდ 8 კოლექტივი გამოდიოდა), იგულისხმება სხვა ტურნირებიც. აქვე უნდა დავასახელოთ სასკოლო პირველობაც. შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები საწარმოებში და კოლმეურნეობებში, „ტყავის ბურთის“ თამაშები 15 სკოლის სამი ასაკის მოსწავლეთა მონაწილეობით (45 გუნდი), საზეიმოდ ჩატარებული ფეხბურთის დღე.

ასეთია ლანჩხუთის საფეხბურთო ცხოვრების ზოგიერთი დეტალი. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ამბავი, რაც, სამწუხაროდ, იშვიათად გვხვდება ჩვენი ფეხბურთის პრაქტიკაში, ბოლოსთვის შემოვინახე: ლანჩხუთელთა საქმიანობას ნიშანწყალიც არ ეტყობა ფორმალური დამოკიდებულებისა, მხოლოდ „ზემოდან“ მითითებულის შესრულების ჩინოვნიკური სურვილისა, იგრძნობა, რომ ფეხბურთის დანერგვა-განვითარებას აქ უმთავრესად შინაგანი დაინტერესება და გულწრფელი გატაცება განაპირობებს. ამიტომ არის, რომ ლანჩხუთელთა საფეხბურთო ცხოვრება ასე გამოირჩევა ადგილობრივი ინიციატივით ნაკარნახევი თავისებურებებით.

მე, მაგალითად, რესპუბლიკაში სხვაგან არსად მინახავს, რომ ასე თავიანად, გონივრულად ეკიდებოდნენ ახალი საფეხბურთო მინდვრების მოწყობას. უკვე წლეულს მწყობრში ჩადგება ახალი მინდვრები გვიმბელაურში, ჩიბათში, ლესაში, ნიგვზიანში, შრომისუბანში, ღრმაღელეში, სუფსაში, ჯურკვეთში. საერთოდ, ლანჩხუთელებმა ამოცანად დაისახეს, რაიონის ყველა სოფელში ჰქონდეთ საფეხბურთო მინდორი.

სხვაგან არსად მინახავს, რომ მოზრდილებსა და მოზარდებს შორის ასე გავრცელებული იყოს მინი-ფეხბურთი. შეჯიბრებები ტარდება სკოლებში და სკოლებს შორის, უფროსთა გუნდებს შორის როგორც ფიზკულტურის კოლექტივებში, ისე მათ ფარგლებს გარეთ, უფროსი და უმცროსი თაობის მოთამაშეთა შორის თვით რაიონული მასშტაბითაც კი. ზამთრობით, სხვათა შორის, სპორტულ დარბაზში ყოველწლიურად ტარდება მოზრდილთა ასპარეზობა 24 გუნდის მონაწილეობით.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის მასშტაბით იშვიათია ასეთი ყოვლისმომცველი ინტერესი ფეხბურთისადმი, ასპარეზობის ფორმების ასეთი მრავალფეროვნება. განსაკუთრებით გატაცებული არიან ამგვარი შეჯიბრებებით (ვთქვათ, უცოლოებსა და ცოლიანებს ან ორი სხვადასხვა გვარის წარმომადგენელთა გუნდებს შორის) სოფელ ჩიბათში.

რატომ არის, რომ ლანჩხუთის რაიონში ასე უყვართ და ასე მასობრივად ავითარებენ ფეხბურთს, სხვა ადგილებში კი მის მიმართ ინტერესმა საგრძნობლად იკლო? იქნებ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფეხბურთის ფედერაციის აქტიურ მუშაობას და მის მაორგანიზებელ როლს? სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით. ლანჩხუთის ფეხბურთის ფედერაცია არაფრით არ არის სხვებზე უკეთესი და უთუოდ განახლებას საჭიროებს. სამაგიეროდ, და მთავარი განსხვავება სწორედ ეს არის, რაიონის მთელი ხელმძღვანელი აქტივი — პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული — გამსჭვალულია ერთი სულისკვეთებით, ერთი მისწრაფებით, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ფეხბურთის განვითარებას საერთოდ რაიონში კი არა, არამედ იქ, იმ უბნებშიც, სადაც თვითონ უშუალოდ მუშაობენ. მინდა გავიხსენო კომკავშირის რაიკომის მუშაკი, რომელიც „ტყავის ბურთისა“ და მინი-ფეხბურთის შეჯიბრებათა ორგანიზაციით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პროფესიულ დონეზე“ ადევნებდა თვალს; მინდა გავიხსენო არა მეცენატები, რომელთა „სიყვარულიც“ ფეხბურთის მიმართ მხოლოდ პრესტიჟული ინტერესებით აიხსნება, არამედ ნამდვილი ენთუზიასტები — კოლმეურნეობა „ჩიბათის“ თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობა „ღრმაღელის“ დირექტორი.

ფეხბურთისადმი ასეთი მზრუნველი დამოკიდებულება ბედნიერი შემთხვევა როდია, რომელმაც რაიონის აქტივში ფეხბურთის ენთუზიასტები დააწინაურა. ეს არის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელს ყველა სხვა ღირსებასთან ერთად ფეხბურთის ერთგულება და ქმედითი სიყვარულიც აქვს მომადლებული.

ცხადია, ეს ტრადიცია თავისთავად არ ჩამოყალიბებულა. აქ უთუოდ უნდა გავიხსენოთ ის დრო, როცა რაიონის ფეხბურთის ფედერაციას სათავეში ედგა აწ განსვენებული ევგრაფი შევარდნაძე. მან არა მარტო თვითონ დასდო დიდი ამაგი ლანჩხუთის რაიონში ფეხბურთის განვითარებას, არამედ სხვებსაც ჩაუნერგა და განუმტკიცა აზრი, რომ ფეხბურთზე ზრუნვა ყველასათვის აუცილებელია. ამ ტრადიციას, როგორც საფეხბურთო კეთილდღეობის მთავარ წინაპირობას, უნდა მოვუფრთხილდეთ, მოვუაროთ, დავნერგოთ იქაც, სადაც ზოგიერთი ხელმძღვანელის ინტერესები ერთი „რჩეული“ გუნდით არის შემოფარგლული. ეს ტრადიცია უნდა დავნერგოთ იქ, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელები გაურბიან დამატებით საზრუნავს, ამჯობინებენ ანგარიში არ გაუწიონ ფეხბურთისადმი საერთო-სახალხო სიყვარულს და იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყონ, ფაქტობრივად ზღუდავენ მის განვითარებას. არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს იმან, რომ მახარაძის რაიონში დაიშალა ოსტატთა გუნდი „მერცხალი“, რომ წლეულს რესპუბლიკურ პირველობებში ამ რაიონის ღირსებას არ იცავენ ლაითურის „გიგანტი“ და ნატანების „ნარინჯი“, რომ, დასასრულ, მახარაძის რაიონმა უარი თქვა ყველასათვის სავალდებულო ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ხომ არ არის ამგვარი დამოკიდებულება ფეხბურთის განვითარების გზიდან გადახვევა? ვინ დაიჯერებს, რომ მახარაძის რაიონში არ არის ობიექტური პირობები ფეხბურთის განვითარებისათვის? მახარაძის რაიონში ფეხბურთის განვითარებას ობიექტური კი არა, სუბიექტური მიზეზები უშლის ხელს. აი, ეს არის მთავარი. ამიტომაც გვიჩნდება სურვილი, ამ საფეხბურთო დემობილიზაციას ლანჩხუთელთა აქტიურობა და მზრუნველობა დავუპირისპიროთ.

თუმცა, ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ლანჩხუთს ფეხბურთში მოსაგვარებელი არაფერი ჰქონდეს. როგორც ყველგან, იქაც არის ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა-გამოსწორებაშიც წინსვლითი მოძრაობის ჯერ კიდევ გამოუვლენელი რეზერვებია დაფარული. მე ვიტყოდი, რომ ლანჩხუთის მაგალითში ყველაზე მეტად გვხიბლავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფეხბურთის სიყვარულის ენერგია. მეორე მხრივ, მე იგი მაინც სასურველზე მეტად სტიქიური მეჩვენება. ალბათ ამიტომ მომავალი მუშაობის მთავარი ამოცანაა ეს სიყვარული მიზანმიმართული გახადოს და წმინდა საფეხბურთო კულტურით გაამდიდროს.

კონკრეტულად რა ხარვეზები და ნაკლოვანებები გვაქვს მხედველობაში? ყველას ვერ დავასახელებ. მაგრამ არც მეტისმეტი არაკონკრეტულობა ვარგა. ამიტომ მაპატიეთ, თუ საშუალო ხაზს ავირჩევ და, ვისარგებლებ რა საქართველოს სპორტსახკომში მიღებული კოლეგიის დადგენილებით, ზოგიერთ ფაქტს დავასახელებ.

## ოსტატთა გუნდი „გურია“

1. გუნდს თაობათა ცვლით გამოწვეული კრიზისი ემუქრება. ამ პროცესმა შეიძლება სულ მალე მეტად სერიოზული გავლენა მოახდინოს მის ბედ-იღბალზე. ამიტომ საჭიროა ამთავითვე მივიღოთ გადამჭრელი ზომები კრიზისის თავიდან ასაცილებლად. ერთი მხრივ, მწვრთნელს უფრო ქმედითი დახმარება სჭირდება გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებით შევსებაში. ეს „გურიის“ მწვრთნელთა შემადგენლობის „საკადრო პოლიტიკაში“ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს. მეორე მხრივ, უნდა აიკრძალოს I ლიგის რესპუბლიკური გუნდებიდან („გურია“, ბათუმის „დინამო“) მოთამაშეთა გადაყვანა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოში“ იმ შემთხვევებში, როცა ეს ნაკარნახევი არ არის ძირითად შემადგენლობაში მათი გამოყენების აუცილებლობით.

2. თანამედროვე წვრთნა, როგორც წესი, ითვალისწინებს მუშაობას ადამიანის შესაძლებლობათა დაძაბვის ზღვარზე და უცილობლად ეფუძნება დატვირთვის ფუნქციონალურ რეგულირებას, მის ფიზიოლოგიურ ზემოქმედებასა და ხელოვნურად აქტივიზებულ აღდგენით პროცესებზე დაკვირვებას. ეს შეუძლებელია სამედიცინო-ბიოლოგიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე, „გურიაში“ კი საერთოდ არ არსებობს ოპერატიული კონტროლი, დაკვირვება საწვრთნელ დატვირთვაზე. დასაწყისისთვის აუცილებელია დაინერგოს თუნდაც ყოველდღიური დაკვირვება ფეხბურთელთა წონის კლებასა და აღდგენაზე წვრთნასა და შეჯიბრებებთან დაკავშირებით.

3. აუცილებელია სასწრაფოდ მოწესრიგდეს გუნდის ბაზასთან არსებული საფეხბურთო მინდორი, აღიჭურვოს იგი აუცილებელი დამხმარე მოწყობილობით, მეტიც, ფეხბურთის ქალაქიც კი მოეწყოს. დამხმარე მოწყობილობის გარეშე ოსტატთა გუნდის წვრთნას არ შეიძლება წვრთნა ეწოდოს.

## მასობრივი ფეხბურთი

რაიონული პირველობები დღემდე ნაკლებად უპასუხებდნენ თავიანთ დანიშნულებას. მცირეა მონაწილეთა რიცხვი — 14 გუნდი, როცა რაიონში მოზრდილთა 39 საფეხბურთო სექციაა. ჯგუფებად დაყოფა და შეჯიბრების ერთ წრედ გამართვა მიზანშეუწონელია, რადგან ვერ უზრუნველყოფს მონაწილეთა მოზიდვას სისტემატურ შეჯიბრებებში, რომლებიც მთელი სეზონის მანძილზე გრძელდება. რაიონი უნდა გადავიდეს გათამაშების იმ სისტემაზე, რომელიც დადგენილია ახალი დებულებით სარაიონო-რესპუბლიკურ პირველობათა შესახებ.

რაიონში დადგენილ ვადებში (მარტი-აპრილი) არ ჩატარდა თასის გათამაშება. ამან გაართულა მისი წარმომადგენლის მონაწილეობა რესპუბლიკური თასის გათამაშებაში.

რაიონულ შეჯიბრებათა ორგანიზაციაში არ მონაწილეობენ მსაჯთა კოლეგია (თუმცა იგი, როგორც ფედერაციის ორგანო, ვალდებულია ჩაატაროს ეს შეჯიბრებები) და სპორტულ-ტექნიკური კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს გათამაშების დებულებათა დამუშავება, გუნდებში აღმზრდელობითი საქმიანობის გაშლა და დისციპლინის კონტროლი.

საერთოდ, ფეხბურთის რაიონულ ფედერაციას სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობა.

## ფეხბურთის სკოლა

ეს სკოლა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან („გურია“) არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ძნელი წარმოსადგენია, მას თუ ვინმე ხელმძღვანელობს, წარმართავს, მის მუშაობას კონტროლს უწევს. ამ უკონტროლობამ, ნაწილობრივ კი სკოლის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელთა საბჭოს სუსტმა მუშაობამ, გამოიწვია საერთო უწესრიგობა. და მეცადინეობათა ჩატარების ჩამორჩენილი მეთოდიკა.

სკოლა არ გადასულა კვირის ფარგლებში მეცადინეობის ციკლურ მეთოდზე, როცა გაკვეთილების ხანგრძლივობა, დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა ცვალებადია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტალღისებური ფორმისაა. არ ტარდება ორჯერადი მეცადინეობა, რაც სწავლების მეხუთე წლიდან არის გათვალისწინებული. შეიკვეცა მეცადინეობათა რაოდენობა და ხანგრძლივობა კვირის მანძილზე. სულ სკოლის 12 ჯგუფში მეცადინეობათა ერთკვირეული მოცულობა 118 აკადემიურ საათს შეადგენს, პროგრამით კი 175 საათია გათვალისწინებული.

არადამაკმაყოფილებელია მეცადინეობის დოკუმენტაცია (ჟურნალები), მომეცადინეთა რაოდენობის, სკოლაში შესვლის, სკოლის დამთავრების, სწავლებისა და სპორტული მომზადების მიხედვით ჯგუფებში გადაყვანის აღრიცხვიანობა.

სკოლას არა აქვს დამხმარე აღჭურვილობა. აღარას ვამბობთ საფეხბურთო ქალაქზე.

რაც შეეხება ჰიგიენურ პირობებს, ძნელი დასაჯერებელია, თითქოს სუფსაში და გულიანში მომეცადინე ჯგუფები (ორ-ორი ჯგუფი) უზრუნველყოფილი არიან ცხელი წყლით და ყოველი საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ სოფლის აბანოში დადიან. ვერც იმას მოვიწონებთ, რომ ზამთრობით სკოლის მთავარ ბაზაში გასახდელებს არ ათბობენ. მით უფრო, რომ ამ საქმის მოგვარება, წყლის ელექტროსადგურით გათბობა არც ისე ძნელია.

• • •

შეიძლება ამ წერილში ზოგი რამ წვრილმანადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ცხოვრება სწორედ ამგვარი წვრილმანებისაგან შედგება. მეორე მხრივ, შეიძლება ზოგი ისეთი რამ ვერ ვთქვი, რაც მეტ ყურადღებას იმსახურებდა, მაგრამ ისე ნუ გავიგებთ, რომ, რაც არ თქმულა, იმას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. განვითარების გენერალური ხაზი მუდამ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დაძლევას ითვალისწინებს. რაც უფრო ცხადად ხედავ ამ ნაკლოვანებებს, მით უფრო რაციონალურად და აქტიურად იბრძვი მათ დასაძლევად, მით უფრო გაბედულად მიიწევ წინ. ლანჩხუთელთა დღევანდელი დღე და საქმის სიყვარული მომავლისათვის მეტს გვპირდება, გაგვმართლებოდეს იმედი.

**ვლადიმერ მჟავანე.**



**გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის**

ლონდონი—ლენინგრადი, ივლისი—ოქტომბერი, 1986 წ.



# მეშვიდე პარტია

მეშვიდე პარტიაში მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, ამ მატჩში პირველად მიმართა ლაზიერის გამბიტს. რამდენიმე სვლა მათი წინა მატჩის ერთ-ერთ პარტიას „დაემთხვა“, მერე კი კარპოვმა ახალი გაგრძელება აირჩია.

შუა თამაშში მსოფლიოს ექსჩემპიონმა თავისი ფიგურები მოხერხებულად განალაგა დაფის ცენტრში. პარტიამ თანდათან დახურული ხასიათი მიიღო დ უაღრესად დაიძაბა. ასეთ პირობებში კასპაროვი თავს მხნედ ვერა გრძნობს, მას სურს გახსნას თამაში და ამისთვის ცდილობს ფიგურები გაცვალოს, მაგრამ მსოფლიოს ექსჩემპიონი უარზეა. მან იცის, რომ ინიციატივა მის ხელთაა და პოზიციის გამარტივება სულაც არ აძლევს ხელს, მაგრამ კასპაროვი არ ცხრება. თუ მანამდე უფრო მეტად თავს იცავდა, ახლა რამდენიმე სვლით საგრძნობლად იუმჯობესებს პოზიციას. და აი, თამაშში თითქოს გარდატეხაც მოხდა, მაგრამ აქ მსოფლიო ჩემპიონმა არაზუსტად ითამაშა, იჩქარა პაიკების გაცვლა და h ხაზი მეტოქის ეტლს „დაუთმო“. ორიოდე სვლის გაკეთების შემდეგ კარპოვი შამათით დაემუქრებოდა, მაგრამ ამ სიტუაციაში კასპაროვმა მახვილგონივრულად ითამაშა. მან ხარისხი შეწირა კარპოვს (ეტლი მხედარსა და ორ პაიკში) და კიდევ ერთხელ გაათანაბრა პოზიცია. აღსანიშნავია, რომ ბოლო სვლებს მეტოქენი სასტიკ ცაიტნოტში აკეთებდნენ.

**ა. კარპოვი — გ. კასპაროვი**

**მეშვიდე პარტია**

**ლაზიერის გამბიტი**

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. cd ed 5. კf4 c6 6. ლc2 g6 7. e3 კf5 8. ლd2 მd7 9. f3 მb6 10. e4 კe6 11. e5 h5 12. კd3 ლd7 13. b3 კh4+ 14. g3 კe7 15. მფf2 კf5 16. კf1 მფf8 17. მფg2 a5 18. a3 ლd8 19 მh3 კ:h3+ 20. მფ:h3 მფg7 21. მფg2 მd7 22. კd3 მf8. 23. კe3 მe6 24. მe2 მh6 25. b4 ლb6 26. b5 c5 27. მc3 cd 28. კ:h6+ ე:h6 29. მ:d5 ლd8 30. კe4 h4 31. ეhf1 hg 32. hg ეc8 33. ეh1 ე:h1 34. ე:h1 კg5 35. f4 ეc5 36. fg ე:d5 37. კ:d5 ლ:d5+ 38. მფh2 ლ:e5 39. ეf1 ლ:b5 40. ლf2 მ:g5 41. ლ:d4+...

პარტია ამ პოზიციაში შეწყდა, მაგრამ იგი აღარ გაგრძელებულა. თამაშის განუახლებლად მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ (კასპაროვს ჩაუწერია მფg8 სვლა). ამრიგად, მატჩის ანგარიში კვლავ საყაიმოა — 3,5:3,5.

**მატჩ-რევანშის ირგვლივ**

# ჟურნალისტები არ ცხრებიან

**მსოფლიო** ჩემპიონსა და ექსჩემპიონს „ამალაში“ 9-9 კაცი ჰყავს. ყველაზე დიდ როლს, ცხადია, მწვრთნელები ასრულებენ. კასპაროვს ახლა ოთხი ასეთი მწვრთნელი ახლავს, კარპოვს — სამი. ლონდონში ჩავიდა კასპაროვის კიდევ ერთი მწვრთნელი, ცნობილი უნგრელი დიდოსტატი ანდრაშ ადორიანი, თუმცა იგი მალევე დაბრუნდა ბუდაპეშტში. კასპაროვი ამ გამოჩენილ თეორეტიკოსთან კარგა ხანია მეგობრობს. აი, რას ამბობს უნგრელი მოჭადრაკე.

— კასპაროვს ჯერ კიდევ 1984 წელს, კარპოვთან პირველი მატჩის დროს ვეხმარებოდი. იგი მაშინ დამიკავშირდა, როცა ორთაბრძოლას აგებდა ანგარიშით 0:3. მოსკოვში ჩამოსვლისთანავე დავრწმუნდი, რომ კასპაროვი ამ მატჩს არ წააგებდა, მერე ყველამ ირწმუნა ეს.

ადორიანი კასპაროვს ახლდა ანდერსონთან, ტიმანსა და მაილსთან გამართული მატჩების დროსაც, და უნდა ვიფიქროთ, რომ რეალურ დახმარებას უწევდა მას.

ერთმა ჟურნალისტმა კასპაროვს ჰკითხა, როგორ შეეგუეთ ლონდონის პირობებსო. მსოფლიო ჩემპიონი ინგლისის დედაქალაქში ერთხელ უკვე თამაშობდა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში კორჩნოისთან. კასპაროვმა განაცხადა, რომ ახლაც იგივე მწვრთნელები ჰყავს და იგივე უახლოესი მეგობარი — დედამისი. კითხვას: კარპოვთან შეხვედრის წინ რატომ არ მონაწილეობდა ტურნირებში და რატომ ითამაშა მხოლოდ ორი მიკრო მატჩი, მსოფლიო ჩემპიონმა ასე უპასუხა: ასეთი გზა შეგნებულად ავირჩიე. ერთი და იმავე მეტოქესთან თამაშს მსოფლიო პირველობაზე ორთაბრძოლის წინ დიდი სარგებლობა მოაქვს. ამ მხრივ ტურნირები, რომელშიც ყოველდღე სხვადასხვა მეტოქეს ხვდები, ბევრს არაფერს იძლევა.

კითხვაზე, რას გააკეთებს, თუ ეს მატჩი წააგო, ჩემპიონმა მიუგო:

— ჯერჯერობით ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია კარპოვის მატჩ-რევანშისწინა პრესკონფერენციამ. შეხვედრის დასაწყისში მსოფლიოს ექსჩემპიონის პრეს-ატაშემ, ცნობილმა იუგოსლაველმა ჟურნალისტმა დიმიტრიე ბელიცამ ილაპარაკა კარპოვის საჭადრაკო კარიერის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მოსკოველმა დიდოსტატმა დღემდე 54 ტურნირში გაიმარჯვა, რაც უიშვიათეს სპორტულ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. მისმა პარტიებმა სხვადასხვა შეჯიბრებებში 80 სპეციალური პრიზი მიიღო. არც ასეთ წარმატებას მოეძებნება იოლად ანალოგი.

ბევრს აინტერესებდა, რატომ არ მონაწილეობდა კარპოვი კასპაროვთან შეხვედრის წინ მატჩებში და რატომ ამჯობინებდა საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლას.

— ეს ინდივიდუალურად გადასაჭრელი საკითხი გახლავთ — თქვა კარპოვმა.— ვფიქრობ, ტურნირებსა და მატჩებში მონაწილეობა საბოლოოდ ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება.

**⊙ რით განსხვავდებით თქვენ ერთმანეთისგან?**

— ჩვენ ძალიან განვსხვავდებით თამაშის სტილით, იდეებიც სხვადასხვა გვაქვს. ეს ძალიან კარგია. ერთმანეთის მსგავსად რომ ვთამაშობდეთ, მატჩი საინტერესო არ იქნებოდა.

**⊙ მატჩისთვის როგორ ემზადებოდით?**

— ისევე, როგორც ყოველთვის. ვთამაშობდი ჭადრაკს, ვვარჯიშობდი, ბრძოლისთვის განვაწყობდი თავს. 1985 წლის მატჩის შემდეგ დაწვრილებით გავარჩიე კასპაროვთან ნათამაშევი ყველა პარტია. მინდოდა გამერკვია, რა შეცდომები დავუშვი. რაიმე შეცდომა რომ არ გამპარვოდა, შევამოწმე სადებიუტო ვარიანტების ჩემეული ანალიზებიც.

**⊙ ზოგიერთი გაზეთი თქვენი სუსტი ფიზიკური მომზადების შესახებ აუწყებს მკითხველს...**

— კაჟივითა ვარ!

კარპოვმა თქვა, რომ სწორად არ მიაჩნია მისი და კასპაროვის შედარება წარსულის დიდ მოჭადრაკეებთან, რადგან ახლანდელ ჩემპიონსა და ექსჩემპიონს თავიანთი მკვეთრად გამოხატული სტილი, სათამაშო მანერა აქვთ.

ყველა ინგლისელი დიდოსტატი, ასე თუ ისე კასპაროვ-კარპოვის მატჩითაა დაკავებული. ზოგი ტელეკომენტატორია, ზოგი რადიომიმომხილველი, ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი ნაიჯელ შორტი კი „პარკ-ლეინის“ სასტუმროში შეკრებილ გულშემატკივრებს იქვე, „ბრძოლის ველთან“ ახლოს მდებარე ვრცელ ჰოლში ურჩევს პარტიებს. თუ სხვა კომენტატორებს ჯერჯერობით არავინ ედავება, შორტმა უკვე დაიმსახურა ინგლისის საჭადრაკო ფედერაციის მესვეურების გულისწყრომა, რადგან ერთ-ერთი პარტიის ანალიზისას თემას გადაუხვია და... ფიდე-ს მმართველობაში დაშვებული შეცდომებისთვის მკაცრად გააკრიტიკა პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი (ცხადია, კამპომანესი ახლა ლონდონშია და მატჩს ესწრება).

ერთი სიტყვით, კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშისადმი გულგრილი არავინაა.

# პირველი შეხვედრები

მადრიდი. აქ უკვე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი წყალბურთში, ცურვაში, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვაში. შეჯიბრებაში 60-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში 54 სპორტსმენია.

ასპარეზობაში პირველად წყალბურთელები ჩაებნენ. საბჭოთა ნაკრების მეტოქე სტარტზე ბრაზილიის გუნდი იყო. მატჩი ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს — 16:10 (2:1, 3:1, 6:2, 5:6).

პირველი დღის სხვა შეხვედრებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ფრანგების გამარჯვება ჰოლანდიელებზე (5:4) და გფრ-ის წყალბურთელთა კარგი თამაში კანადელებთან — 8:3.

**კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი**

# დარჩა გადამწყვეტი ბრძოლები

**ვილნიუსსა** და მინსკში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა ჯგუფური ტურნირები. ბოლო დღის მატჩებს სატურნირო ცხრილში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. ქვეჯგუფებში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილები საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს კალათბურთელებმა დაიკავეს. მაგრამ აქვე ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს საბჭოთა ნაკრებს ჩემპიონატის ფინალურ ფაზაში გასვლა ასე არასდროს გაჭირვებია. ჩვენს კალათბურთელებს განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები ჰქონდათ კუბასთან (86:82) და კანადასთან (77:76). განახლებული ნაკრები ჩანს ნელნელა იკრებს ძალებს და ჩვეულ ფორმაში შედის.

ფინალისკენ გზა აშშ-ს კალათბურთელებმა გაცილებით იოლად გაიკაფეს. ისინი ქვეჯგუფის მეტოქეებს მთელი თავით სჯობდნენ, რაც შედეგებიდანაც ჩანს.

გთავაზობთ 12 და 13 აგვისტოს შეხვედრათა შედეგებს, რომლებიც არ გამოგვიქვეყნებია.

**ვილნიუსის ჯგუფი:** ჩინეთი — უნგრეთი 90:63, ჩეხოსლოვაკია — ტაივანი 84:60, აშშ — ჩინეთი 99:74, ავსტრალია — ტაივანი 63:55, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 78:61.

**მინსკის ჯგუფი:** კუბა — ბრაზილია 93:78, ბულგარეთი — სამხრეთ კორეა 74:63, სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 90:41, კანადა — ბრაზილია 82:75, კუბა — ბულგარეთი 77:76.

ჯგუფური ტურნირების საბოლოო ცხრილები ასე გამოიყურება:

**ვილნიუსის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 5 | 0 | 10 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 4 | 1 | 9 |
| ჩინეთი | 5 | 3 | 2 | 8 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 3 | 7 |
| ავსტრალია | 5 | 1 | 4 | 6 |
| ტაივანი | 5 | 0 | 5 | 5 |

**მინსკის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 5 | 0 | 10 |
| კანადა | 5 | 4 | 1 | 9 |
| კუბა | 5 | 3 | 2 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 7 |
| ს. კორეა | 5 | 1 | 4 | 6 |
| ბრაზილია | 5 | 0 | 5 | 5 |

გუშინ გაიმართა ნახევარფინალური მატჩები: აშშ — კანადა და სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია.

## II ლიგა

**14 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVIII ტურის მატჩები.**

თბილისის „ლოკომოტივმა“ თავის მინდორზე მიიღო ბაქოს „გიანჯლიკი“. ბაქოელთა ამ გუნდში „ნეფთჩის“ ძველი ფეხბურთელებიც გამოდიან, რომლებიც სათანადო ტონს აძლევენ ახალგაზრდა პარტნიორებს და, თუმცა, „გიანჯლიკს“ ახლა გათამაშების ცხრილში მხოლოდ შუა ადგილი უკავია, მის თამაშში იგრძნობა სტაბილურობა და ტაქტიკური შეთამაშება.

მიუხედავად ამისა, ლოკომოტიველებმა საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს პირველ ტაიმში, მე-12 წუთზე ა. კაპანაძემ გოლიც გაიტანა, მაგრამ ბაქოელებმა მეორე ტაიმში გარდატეხა შეიტანეს თამაშში, იყო მომენტები, როცა მათ საპასუხო ბურთის გატანა შეეძლოთ, მაგრამ რამდენიმე მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა კულიაშვილმა კარგად გამოიყენა სტუმრების კართან შექმნილი მომენტი, მისი ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 2:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურში სოხუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ზონის საუკეთესო გუნდი — კიროვაბადის „ქიაფაზი“. სოხუმელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:2 და ხელთ ჩაიგდეს ლიდერობა.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოლხეთი“ (ფოთი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 4:2, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ოლიმპია“ (აშტარაკი) 3:1, „დილა“ (გორი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 3:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 4:0.

**ეკრანზე და ეთერში**

**ცენტრალური ტელევიზია.** 16 აგვისტო. დილის ტანვარჯიში 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩოგბურთელთა ტურნირი — 11.25 (2); სტადიონი ყველასთვის — 15.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში: წყალბურთი. სსრ კავშირი — აშშ — 19.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 19.50 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი) — 20.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის — 24.00 (1).

**საქართველოს ტელევიზია.** 16 აგვისტო. საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა) — 17.50; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 19.50; მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის — 24.00.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ს. | 18 | 12 | 1 | 5 | 32-16 | 25 |
| „დილა“ | 18 | 11 | 3 | 4 | 31-18 | 25 |
| „ქიაფაზი“ | 18 | 11 | 3 | 4 | 31-19 | 25 |
| „ლოკ.“ ს. | 18 | 10 | 2 | 6 | 26-17 | 22 |
| „მეტალურ.“ | 18 | 9 | 2 | 7 | 34-23 | 20 |
| „მეშახტე“ | 18 | 9 | 2 | 7 | 27-21 | 20 |
| „კოლხეთი“ | 18 | 9 | 2 | 7 | 30-31 | 20 |
| „ლოკ.“ თბ. | 18 | 9 | 2 | 7 | 19-22 | 20 |
| „გიანჯლ.“ | 18 | 7 | 4 | 7 | 24-17 | 18 |
| „სპარტაკი“ | 18 | 7 | 4 | 7 | 17-22 | 18 |
| „ყარაბახი“ | 18 | 7 | 2 | 9 | 29-30 | 16 |
| „ავტომბ.“ | 18 | 6 | 2 | 10 | 30-30 | 14 |
| „არაზი“ | 18 | 5 | 4 | 9 | 15-28 | 14 |
| „შირაკი“ | 18 | 6 | 1 | 11 | 14-22 | 13 |
| „კოლხოზჩი“ | 18 | 5 | 1 | 12 | 14-31 | 11 |
| „ოლიმპია“ | 18 | 2 | 3 | 13 | 12-38 | 7 |

## ელვა-ინფორმაცია

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა**

გუშინ საღამოს ვლადიმერ გაბრიჩიძე ნახევარფინალურ შეხვედრაში დამარცხდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან, მოსკოველ ანდრეი ჩესნოკოვთან — 2:6, 1:6. დღეს ჩვენი სპორტსმენი მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს. ქალთა ერთეულთა თანრიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ლვოველი ლარისა სავჩენკო და მოსკოველი ნატალია ბიკოვა.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612